ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №

პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის, 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" მართვის დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის, ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2014 წლის 19 ივნისის №01-01/8 ბრძანებით დამტკიცებული ,,ა(ა)იპ ,,საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის" მე–3 მუხლის და მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის ლევან ქისტაურის 2018 წლის 17 დეკემბრის N1/3350 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" პროფესორის ერთ ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობაზე ფსიქოლოგიის მიმართულებით. (აფილირების პირობით)
2. ამ ბრძანების დანართი № 1-ით განისაზღვროს პროფესორის, ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესაბამისი საკანონმდებლო და საუნივერსიტეტო საკონკურსო მოთხოვნები და საკონკურსოდ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი.
3. კონკურსის ჩატარების თარიღი, წესი და პირობები განთავსდეს ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" ოფიციალურ ვებ გვერდზე www.sangu.edu.ge არაუგვიანეს 2018 წლის 21 დეკემბრისა და გამოქვეყნდეს დასაქმების ვებგვერდზე არაუგვიანეს 2018 წლის 24 დეკემბრისა.
4. კონკურსში მონაწილეთა მიერ დოკუმენტაციის წარმოდგენის და მათი რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 24 იანვრიდან 25 იანვრის ჩათვლით, მისამართზე ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №53ა, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში, პირველი კორპუსი (ოთახი N104), ყოველ დღე, შაბათ–კვირის გარდა, 11.00 საათიდან – 17.00 საათამდე.

5. კონკურსი ჩატარდეს (კონკურსანტთა შეფასება და გადაწყვეტილების მიღება) 2019 წლის 28 იანვრიდან 01 თებერვლის ჩათვლით.
6. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 2019 წლის 04 თებერვლისა.
7. წინამდებარე ბრძანების მე-3 პუნქტის შესრულება დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.
8. ბრძანება დაეგზავნოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს - კანცლერს, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლას, ბუღალტერიას.
9. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე

ა(ა)იპ “საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის” რექტორის 2018 წლის ---------- N-------- ბრძანების

დანართი N1

I. საკონკურსო ვაკანსიის მოთხოვნები:

პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად
ძირითადი (საკანონმდებლო) მოთხოვნები:

ა) აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი: დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი;

ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება: ავტორიზებული ან მასთან გათანაბრებული სტატუსის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ 6 წლის მუშაობის გამოცდილება;

დამატებითი (საუნივერსიტეტო) მოთხოვნები:

ა) სილაბუსი/სილაბუსები, რომლებიც ფასდება მისი შინაარსის, სწავლის შედეგებისა და მათი მიღწევის მეთოდების ადეკვატურობით;

ბ) სამეცნიერო ნაშრომები შესაბამისი მიმართულებით გამოქვეყნებული ბოლო 10 წლის განმავლობაში;

გ) სამეცნიერო კონფერენციებსა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა ბოლო 5 წლის განმავლობაში;

დ) სამეცნიერო სტიპენდიები ან/და გრანტები, ან/და სხვა პროფესიული აქტივობები ბოლო 5 წლის განმავლობაში;

დამატებითი(სპეციფიკური) მოთხოვნები:

ა) საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობის გამოცდილება;

ბ) ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მინიმუმ 4 სასწავლო კურსის გაძღოლის გამოცდილება;

გ) ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მინიმუმ 4 სასწავლო კურსის მასალების შემუშავება/ უზრუნველყოფის გამოცდილება;

დ) პრაქტიკული გამოცდილება ფსიქოლოგიაში;

ე) საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები;

ვ) საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის გამოცდილება;

ზ) საერთაშორისო კვლევითი საზოგადოების წევრობა/მონაწილეობა;

თ) ინგლისური ენის ცოდნა მინუმუმ B2 დონეზე და ინგლისურ ენაზე ლექციების წაკითვის შესაძლებლობა.

II. საკონკურსოდ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია საბუთების წარმოდგენის ეტაპზე კომისიას წარმოუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1.1. შევსებული განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (ფორმა განთავსებულია sangu.edu.ge); ავტობიოგრაფია (CV) (ელექტრონული და ბეჭდვითი ფორმით);

1.2. შევსებული კონკურსანტის ანკეტა ელექტრონულ ვერსიასთან (დისკი) ერთად (შესავსები ფორმა განთავსებულია sangu.edu.ge)

1.3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

1.4. ერთი ფოტოსურათი, ზომით 3×4;

1.5. ავტორიზებული ან მასთან გათანაბრებული სტატუსის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

1.6. ინფორმაცია ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული საკონკურსო თანამდებობის/ დარგისათვის ადეკვატური სამეცნიერო ნაშრომების შესახებ (ავტორის შეხედულებით), სამეცნიერო ნაშრომის დართვით, რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მის სამეცნიერო საქმიანობას;

1.7. კონკურსანტის მიერ შედგენილი დარგის შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების სილაბუსი/სილაბუსები (ელექტრონული და ბეჭდვითი ფორმით);და სასწავლო მასალები:

1.8. შესაბამისი აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლები ნოტარიულად დამოწმებული;

1.9. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამეცნიერო სტიპენდიების, ან/და გრანტების, ან/და სხვა პროფესიული აქტივობების დამდასტურებელი ინფორმაცია;

1.10. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამეცნიერო კონფერენციებსა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის დამადასტურებელი ინფორმაცია.

1.11. ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

იხილეთ აფილირების წესი: ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე www.sangu.edu.ge

უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე